ვინც სრულყოფილად შეასრულებს მცირე განბანვას (ვუდუ), შემდეგ გაემართება პარასკევის ლოცვაზე და ყურაღებით, მდუმარედ მოუსმენს [ხუტბას], მას აუცილებლად მიეტევება ცოდვები, რომლებიც ჩაუდენია ამ პარასკევსა და წინა პარასკევს შორის, და დამატებით სამი დღის ცოდვები

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც სრულყოფილად შეასრულებს მცირე განბანვას (ვუდუ), შემდეგ გაემართება პარასკევის ლოცვაზე და ყურაღებით, მდუმარედ მოუსმენს [ხუტბას], მას აუცილებლად მიეტევება ცოდვები, რომლებიც ჩაუდენია ამ პარასკევსა და წინა პარასკევს შორის, და დამატებით სამი დღის ცოდვები. ხოლო ვინც (უმიზეზოდ მეჩეთში) ეხება კენჭებს, თითქოსდა ფუჭად დაილაპარაკა».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და შვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც განბანვას შეასრულებს სრულყოფილად, შეასრულებს მის სავალდებულო ნაწილებს, სუნნებსა და ადაბებს, შემდეგ წავა პარასკევის ლოცვაზე, მოუსმენს და ყურადღებით იქნება ქადაგებისას და თავს აარიდებს ამაო საუბრებს, ალლაჰი მას მიუტევებს მცირედ ცოდვებს ათი დღის განმავლობაში: ერთი პარასკევის ლოცვიდან მეორე პარასკევის ლოცვამდე, დამატებით კიდევ სამი დღე, რადგან ერთი კეთილი საქმე ათჯერადაა ანაზღაურებული. შემდეგ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა, რომ არ უნდა დაკარგოს ადამიანმა კონცენტრაცია ხუტბაში მოცემული დარიგებების მიმართ და თავი უნდა შეიკავოს უქმად მოძრაობებისგან ხუტბის დროს, მაგალითად, მიწაზე კენჭების შეხებისგან ან სხვა ისეთ ქმედებებისგან, რომლებიც ყურადღებას აკარგვინებს და უაზროა. მან თქვა, რომ ვინც ასე იქცევა, ფუჭად ლაპარაკობს, ხოლო ვინც ფუჭად ლაპარაკობს, მას არ ეძლევა სრულფასოვანი ჯილდო პარასკევის ლოცვისთვის.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee